სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
66112530796526

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260835109

რეგისტრაციის თარიღი

24.06.2026 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ჯელაძე
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2
ტელეფონი: 2434380

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასოცდაექვსი წლის ოცდაოთხ ივნისს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისში, ა. წერეთლის გამზ. #49-51-51ა, სართული 2, მომმართა **შპს „ჯორჯიან რეფიდ სოლუშენს"-**ის (ს/კ 402026482) დირექტორმა **ნათია აბულაშვილმა** (დაბ. 24.02.1990 წელს, მცხოვრები: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა N19, ბინა 3, პირადი №35001106307, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 18AG16786). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე აქტი და წავუკითხე მხარეს. მხარემ წაიკითხა აქტი, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ჯორჯიან რეფიდ სოლუშენს"-ის (ს/კ 402026482), შემდგომში „მიმნდობი", დირექტორი **ნათია აბულაშვილი** ენდობა **თენგიზ ესიავას** (დაბ. 04.01.1982 წელს, პირადი N02001003670), შემდგომში - მინდობილი პირი, და ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

იყოს მიმნდობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა დაწესებულება-ორგანიზაციაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მუნიციპალური და თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სააგენტოებსა და სსიპ-ებში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო-საპროექტო სამსახურებში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში (შპს-ში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP), სს-ში „თელასი", „თელმიკო", შპს-ში „თბილისი ენერჯი". „თბილსერვის ჯგუფი", სს-ში „სილქნეტი", „ახალი ქსელები" და სხვა), სსიპ იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქივებში, ნებისმიერ ბანკში, სანოტარო ბიუროში და სხვა. აწარმოოს საქმე ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. N19-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 04/153; ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. N19-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.19.26.004.458) შპს „ჯორჯიან რეფიდ სოლუშენს"-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, მიიღოს გადაწყვეტილებები, მოამზადოს და შეათანხმოს პროექტები, უზრუნველყოს შეთანხმებულ პროექტებში ცვლილების შეტანა, უძრავი ქონების პარამეტრების, მშენებლობის კლასის დადგენა/განსაზღვრა, მიწის ნაკვეთის ზონის ცვლილება, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, წებართვები, ნახაზები, პროექტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა/რუკა, წარადგინოს ელექტრონული განაცხადი, უზრუნველყოს ელექტრონული ხელმოწერის განხორციელება, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტაცია შესაბამის ვებგვერდზე, გადაიხადოს მოსაკრებლები, აწარმოოს წითელი ხაზების საზღვრების დადგენა, გამიჯვნა, გაყოფა, გაერთიანება, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო-საპროექტო სამუშაოები, კორექტირება, ხარვეზების გასწორება, ცვლილებების შეტანა/დამატება, ლეგალიზაცია, ექსპლუატაციაში მიღება, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, შეიყვანოს კომუნიკაციები (დენი, გაზი, წყალი, ინტერნეტი და სხვა). უზრუნველყოს მრიცხველების დამონტაჟება, აბონენტად აღრიცხვა, შეიტანოს ყველა სახის განცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ მიმნდობის სახელით ყველა დოკუმენტს, თანხმობას, შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებული იქნება ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესრულებასთან. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც პირდაპირ მითითებულია ან არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 2027 წლის 24 ივნისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში და დაერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გადახდილია 40.40 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 30.00 ლარი, დღგ 5.40 ლარი და სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნათია აბულაშვილი _____

ნოტარიუსი _____ ეკატერინე ჯელაძე